

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/97

ქ. ბათუმი

22 მაისი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N01-02/198 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის N01-02/59 ბრძანების, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 27 მაისის MES 0220000548815 გადაწყვეტილების, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მომსახურების (პროფესიული მომზადების-გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ 2023 წლის 19 აპრილის N0508/03 ხელშეკრულების, „ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 მაისის N 01-02/88 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 17 მაისის N554643 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს მსმენელთა დამატებითი მიღება (ვაკანტური 5 ადგილი, სულ 8-10 მსმენელის ჯგუფის შევსებისათვის; სწავლის დასაწყისი - 2023 წლის 19 ივნისი) ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2023 წლის 22 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა (დაინტერესებულმა პირებმა საბუთების წარდგენის მიზნით უნდა მიმართონ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს აჭარის ა.რ. რეგიონალურ წარმომადგენლობას შემდეგ მისამართზე - ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N18. რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხზე კონსულტაციისათვის დაინტერესებულმა პირებმა დაუკავშირდნენ ბსუ-ს პროფესიული

პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცხელი ხაზის ნომერზე: 577-49-19-39);

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

ბ) ფოტოსურათი (3X4);

გ) პროფესიული გადამზადების პროგრამით - „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განსაზღვრული წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ბეჭდით დამოწმებული);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

3. ბსუ-ში პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2023 წლის 25 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით, ელექტრონულად შემდეგ მისამართზე - <http://vet.emis.ge>.

4. განისაზღვროს დადგენილ ვადაში დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრების და გამოცდის (ტესტირება)) ადგილი და თარიღი წინამდებარე ბრძანების №2 დანართის შესაბამისად.

5. ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ აპლიკანტთა შეფასებისა (გასაუბრება და ტესტირება) და შეფასების პროცესის ადმინისტრირების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი მადონა მიქელაძე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი და ამავე ფაკულტეტის დეკანი რუსუდან ხუბუნაიშვილი;

გ) ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თეა ქოიავა;

დ) ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინა ნაგერვაძე;

ე) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი მამუკა გოგელია.

6. ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ჩარიცხვის უფლებამოსილებულმა პირმა ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, მე-2 სართული, ოთახი N203) 2023 წლის 02 ივნისიდან 06 ივნისის ჩათვლით მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე, პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

გ) ფოტოსურათი (3X4);

დ) პროფესიული გადამზადების პროგრამით - „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განსაზღვრული წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ბეჭდით დამოწმებული);

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

ვ) ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ (გაფორმდება ცენტრში, აპლიკანტის მიერ ზემოაღნიშნული პირადი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ).

7. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ბსუ-ს პროფესიული

გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსება, ასევე მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაციის პროცესში მათი მხარდაჭერა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „განცხადებები“ და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“, ასევე „რექტორის ბრძანებები“) და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

9. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 მაისი N 01-02/97 ბრძანების

დანართი N1

| პროგრამის კოდი | პროფესიული გადამზადების პროგრამის დასახელება | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | სწავლების ხანგრძლივობა (კვირებში) | სწავლების ხანგრძლივობა (საათებში) | მისაღები მსმენელების რაოდენობა | სასწავლო პროცესის ვადები - |
|----------------|--|--------------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|---|----------------------------|
| 01346 | ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | მე-5 | 4 | 60 (კვირაში 15 სთ) | ვაკანტური 5 ადგილი (სულ 8-10 მსმენელის ჯგუფის შევსებისათვის) | 19.06.2023-16.07.2023 |

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 მარტის N01-02/59 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“

დაშვების წინაპირობებია:

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გამოცდა (ტესტირება) და გასაუბრება (ონლაინ)

აპლიკანტი/პროგრამის გავლის მსურველი უნდა ფლობდეს:

ჩამოთვლილი აკადემიური ხარისხიდან/პროფესიული კვალიფიკაციიდან ერთ-ერთს:
 ბაკალავრის აკადემიურ ხარისხი საბუნებისმეტყველო, სოციალური უმსწავლელი, გამოყენებითი ბიომეცნიერების, ბიოტექნოლოგიის, გარემოს დაცვის, აგრარული, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფარმაკოლოგიის მიმართულლებით
ან/და ლაბორატორიული საქმიანობასთან დაკავშირებულ პროფესიულ კვალიფიკაციას შემდეგი მიმართულებით: ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი; ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი; ქიმიური და კვების მრეწველობის

უსაფრთხოების სპეციალისტი; ქიმიური წარმოების სპეციალისტი; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი; სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი; ფარმაცია და ფარმაცის თანაშემწე; ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი.

პროგრამის მიზნები:

პროგრამის შექმნის მიზანია ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციების გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში უწყვეტი პროფესიული განათლების განვითარების გზით. პროგრამის ძირითადი ამოცანაა გადაამზადოს ლაბორატორიული სფეროს სპეციალისტები ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვის მიმართულებით კომპეტენციებისა და ცოდნის გაძლიერების გზით ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ/რადიოლოგიური საფრთხეების, შესაბამისი რისკების განსაზღვრის, შეფასების და მართვის პრინციპების ცოდნა;
2. სპეციფიკურ გარემოში ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობა;
3. საფრთხის შემცველი მასალის შეფუთვა და ტრანსპორტირება, ნარჩენების მართვა და დეკონტამინაცია; გადაუღებელ შემთხვევებში (ადამიანური ფაქტორით გამომწვეული ან ბუნებრივი კატასტროფები/უზედური შემთხვევები; ტექნიკური გაუმართაობა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

გადამზადების პროგრამის ფარგლებში მსმენელი გაეცნობა ლაბორატორიული უსაფრთხოებისა და პერსონალის ჯანმრთელობის პრაქტიკულ კურსს, რაც მოიცავს საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების განსაზღვრას და შეფასებას, ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის პრინციპების გაცნობას, უსაფრთხოების დონეების გაცნობას, დეზინფექცია/დეკონტამინაციის და ნარჩენების მართვის პრინციპებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს. მსმენელს ექნება საშუალება პრაქტიკული და სიმულაციური სავარჯიშოების საშუალებებით გაიმყაროს მიღებული ცოდნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, ინციდენტის დროს რეაგირების, დეკონტამინაციის და ნარჩენების განკარგვის შესახებ.

პრაქტიკული სავარჯიშოების ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა გუნდში მუშაობისთვის საჭირო და საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარების გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესი წარმართება მაღალკვალიფიცირებული პერსონალის

ჩართულობით თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებში. პროფესიული გადამზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 სთ, რომელიც ხორციელდება 4 კვირის განმავლობაში (კვირაში - 15 სთ, 3 დღე).

მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: 1) განმავითარებელ შეფასებას - ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და ტარდება სწავლების პარალელურად; 2) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება მე-4 კვირაში. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და შესაბამისი დანართით.

„ბსუ-ს პროფესიული გადაწყვეტილების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა დამატებითი მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2023 წლის 22 მაისი N01-02/97 ბრძანების

დანართი N2

| პროგრამის კოდი | პროფესიული გადაწყვეტილების პროგრამის დასახელება | აპლიკანტის შეფასების ფორმატი | შეფასების თარიღი და დრო | შეფასების ადგილი | შეფასების კრიტერიუმები | |
|----------------|---|------------------------------|----------------------------|--|------------------------|--------------------------------|
| | | | | | მაქსიმალური ქულა | მინიმალური კომპეტენციის ზღვარი |
| 01346 | ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება | გამოცდა | 29.05.2023 10:00 სთ | ქ. ბათუმი, ბსუ-ს VI კორპუსი, ლეონიძის ქ N15; აუდიტორია N204; 205; მე-2 სართული); | 20 | 16 |
| | | გასაუბრება | 31.05.2023 11:00 სთ-დან | Zoom პლატფორმა - https://us02web.zoom.us/j/5968375230 | 100 | 51 |